ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4521767

ნომერი: AR1682144

თარიღი : 17.05.2019

გაცემის თარიღი : 29.05.2019

გაცნობის თარიღი : 30.05.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გობრონიძის , N 18;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რიმა ლომაური პ/ნ 01011018771
- ქ. თბილისი, რიონჰესის 6ა

ორგანიზაცია:
- ფრესკო შოპინგ ცენტრი კოდი: 406092570

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: სამსახურის მიერ № 4511070 გადაწყვეტილებით დაგევალათ დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასევე ამავე გადაწყვეტილებით ინფორმირებული იყავით, რომ სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩებოდა განუხილველი. აქედან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ მიერ არ იქნა გათვალისწინებული სამსახურის მიერ № 4511070 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზები და მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი, კერძოდ:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად სამსახურს შეფასებით არ იქნა მიზანშეწონილი მიღებული სარეკლამო აბრის ვიზუალიზაცია , ვინაიდან აბრაბზე დატანილი სარეკლამო ინფორმაცია უნდა იყოს სარეკლამო ხასიათის მატარებელი, მხოლოდ ძირითადი სიმბოლოების სახით და არა მსგავსი სახით დასურათებული, ასევე მიუღებელია მისი გაბარიტული ზომაც ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკთხის ხელახლა განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა აბრის განთავსებისათვის მოფიქრებული იქნას სხვა ალტერნატიული ვარიანტოი, ისე რომ აბრით არ იფარებოდეს ვიტრაჟის ფართი (ანუ შემცირდეს ზომაში და განთავსდეს ყრუ ფასადზე) .

შესაბამისად წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.